



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალური ნახაზებიანი, გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს
№ 21 **მ ა ი ს ი 17 1898 წ.** **№ 21**

შინაარსი: ვილიამ გლადსტონი ნ. უორდანიასი. — სხვა და-სხვა ამბავი. — ევალის კორესპონდენცია. — კვირიდან კვირამდე. — ალექსანდრე როინაშვილი — ნეკროლოგი. — გაზაფხული ლექსი ბ. დავითაშვილისა. — ბ-ნ ნ. წ-ის საპასუხოთ ი. კაკაბაძისა. — ვინც რა უნდა თქვას (სერათი) დ. თომაშვილისა. — ევალის რედაქციას ი. როსტომაშვილისა. — უცხო სიტყვებთა ახსნა. — განცხადებები და ბ. ი. კ-მეს პასუხათ გ. მარგალიტაძისა.

რედაქციის ადრესი: არჯილეორის ქუჩა კადეტის კორპუსის გვერდით სახლი თამაშოვისა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

საქველ-მოქმედო ბაზარი


ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ დანიშნულია 23, 24 და 25 მაისს. თავდაზნაურობის (არწრუნისეულის) ქარვასლის ბაღში.

ბაზარი გაიხსნება დილის 11 საათზე. ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კ.

ლთა ხედვის ისარი აქედან ამოაქვს. ეს შეიძლება მოხდეს ორნაირათ: ერთი ამჩნევს მხოლოდ ნასახს ახალი ყლორტისას, რომელიც უეჭველათ უნდა გაიზარდოს და მთელ მერმინდელ მოძრაობას საფუძვლათ დაედვას. და აი ის ამაზე აშენებს მთელ თავის გონებრივ სისტემას და პრაქტიკულ მოქმედებას. ის აწყოში დიდი უმრავლესობისაგან უარყოფილი და მივიწყებულია, სამაგიეროთ მას რწამს მერმისი და იქ

ვილიამ გლადსტონი.

მითაუელი ერი, ისე როგორც თითაუელი კლასი, თავის ძლიერ-მოსილ მსვლელობაში წინ წამოაყენებს ერთ ისეთ პირს, რომელშიაც მისი ისტორიული ლტოლვილება და მისწრაფება პოებს საუკეთესო იარაღს და გამოხატულებას. ის ამას რაც უფრო საესებით შეიგნებს და მოქმედებაში გადაიტანს, მით უფრო დიდებულ პირათ ხდება. მისი მოღვაწეობა, საზოგადოებისთვის თავის დადება და მამამულის შეილობა იზომება იმდენათ, რამდენათ ის ღრმათ იხედება ცხოვრების გულში და თავისი თავ-



ინგლისის პარლამენტი.

ელის შესაფერ დაჯილდოებას. მეორე კი ამჩნევს იმას, რასაც ყოველ დღიური ცხოვრება წამოაყენებს და აღელვებს მთელ საზოგადოებას. ის ამას ატანს ხელს და მის გადაწყვეტას მეთაურობს. და რამდენათ ის საზოგადო მაჯის ცემას ყურადღებით შინჯავს, გულ დასმით ისმენს და ჭეშმარიტათ ესმის, იმდენათ ის თანამედროვეთაგან დაფასებული და შესანიშნავ მოღვაწეთ აღსარებულია. პირველის სიკვდილი თათქმის უყურადღებოთ ჩაივლის, ხოლო მეორის კი ალაპარაკებს მთელ ჭრს, მთელ კაცობრიობას. აი ამ მეორე ტიპის მოღვაწეთ ეკუთვნის აწ გადაცვლებული, ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, ვილიამ გლადსტონი.

გლადსტონი თავისი ხანგრძლივი ცხოვრებით (დაიბადა 1809 წ.) გვიჩვენებს ერთ იშვიათ მაგალითს თანდათან გინეიტარების და გადასხვაფერების. ის შესანიშნავია იმით, რომ ცხოვრებას კვალ-დაკვალ გაჰყვამ და არასოდეს თავის ხანას არ ჩამორჩენია. ის ინგლისის განხორციელებული ევოლიუციია. მასში თავი მოიყარა ცხოვრების ყველა კითხვამ, ერის ყოველ ნაირ მისწრაფებამ, ეპოქის ყოველ ნაირ მღელვარებამ და თითოეულ ამათგანს მან თავისი ბეჭედი დაასვა. ცხოვრება, ჩვეულებრივ, უფრო ჩქარა ოცვლება, ვინემ ერთი ადამიანის აზრი და შეხედულება. სწორეთ ამიტომ არის, რომ ასე სანთლით საძებარია ისეთი მოღვაწე, რომელიც ჟამთა მსვლელობას უკან არ ჩამორჩენოდეს. გლადსტონის ცხოვრება კი ერთი მუდმივი ნგრევა და შენებაა. ის ირღვევს ძველ შეხედულებას და ითვისებს ახალს, ისე როგორც თვით ინგლისი ირღვევს ძველ საძირკველს და იშენებს ახალს. მისი მოქმედება მჭიდროთ შეკავშირებულია თვით სამშობლოს მოქმედებასთან, მისი სულის კვეთება ნათლათ აღბეჭდავს ინგლისის ერის სულის კვეთებას. ის ნიადაგი, რომელზედაც გლადსტონი აღმოცენდა, გაიფურჩქნა და გაიზარდა — მეტათ საგულისხმო და საინტერესოა. გლადსტონის მოღვაწეობის გასაღები მხოლოთ აქ არის დამარხული და თუ მისი გაღება გესურს, აი ეს ნიადაგი უნდა გადავატრილოთ. საქაროა ვიცოდეთ ინგლისის მდგომარეობა მაშინ, როცა გლადსტონი საზოგადო სარბიელზე გამოვიდა.

ინგლისი ამ საუკუნის პირველ მეოთხედში კიდევ სამეურნეო ქვეყანას წარმოადგენდა. დიდი ინდუსტრია ახალ ფეხადგმული იყო და ჯერ კიდევ თავის ძალში ვერ შესულიყო. ხოლო მეურნეობა რამდენიმე მემამულეთა ხელშია, ვინაიდან მთელი მიწა ადგილი მათ ეკუთვნოდა და ეკუთვნის დღესაც. მათ გვერდში ამოუდგა მრეწველი და ვაჭარი, რომელიც ჯერ კიდევ იმდენათ ვერ გამდრდრებულიყო,

რომ ისინი თავის ალაგიდან ჩამოეგდოთ და თითონ შექმნილიყვენ სახელმწიფოს დედა ბოძი. ასეთ ეკონომიურ წყობილებას ეთანხმება პოლიტიკური წყობილებაც. მემამულენი, გაბატონებული ნიეთიერთათ, გაბატონებულია პოლიტიკურათაც. ინგლისის პარლამენტი ეს მათი ბუდე და იარაღია. დეპუტატთა არჩევანი (ქვედა პალატაში) შეადგენდა მხოლოთ შეძლებულთა უფლებას. თითოეულ საარჩევნო რაიონში ამრჩევლთა რიცხვი ხშირათ 20—30 კაცს არ აღემატებოდა. მაგ. ბეტის საგრაფოში, სადაც 14 ათასი ცხოვრობდა, 21 ამომრჩეველი იყო. აქაიქ არჩევნის დღეს გამოცხადდებოდა მხოლოთ ერთი პირი, წამოაყენებდა თავის კანდიდატურას და რადგანაც მოწინააღმდევე არავენ იყო გამოცხადებულ იქნებოდა არჩეული „ერთხმათ.“ ყველა მემამულეს წინდაწინ დასახელებული ჰყავდა სადებუტატო პირი და თავის მიწაზე მცხოვრებთ უბრძანებდა გაათეთრეთო. ამნარათ ქვედა პალატა ერთიანათ მათი მომხრეებით შედგებოდა, ხოლო ზედა პალატას თითონ შეადგენდენ. ასე რომ პარლამენტი და სამინისტრო არისტოკრატის საუფროსოს შეიცავდა და, რასაკერველია, ამას ის თავის სასარგებლოთ იყენებდა. მან დაადგა დიდი ბაჭი უცხოეთიდან შემოტანილ პურზე, რომ მით თავისი ნაწარმოები შინაგან ბაზარზე ძვირათ გაეყიდა. პური საშინლათ გაძვირდა, ხალხი გაღარიბდა, მემამულეე გამდიდრდა. ამან შეაფერხა მრეწველობის განვითარება და მრეწველთა გამდიდრება. ძვირი პური ნიშნავს მუშის გაძვირებას, მას მეტი ფული ჰქირდება საცხოვრებლათ და ქალაქიდან სოფელში მიდის მემამულესთან, რომელსაც ამ მეტი ფულის მიცემა შეუძლია. ამით ქალაქის და სოფლის, მრეწველობის და მეურნეობის შეტაკება მოხდა. მუშა ხალხი, ყოველივე მფარველობას მოკლებული, მსხვერპლი იყო ბურჟუაზიის, ხოლო ორივე ერთათ — არისტოკრატის.

მეორეთ, არისტოკრატია, გარდა მამულისა, დაყრდნობილი იყო სამღვდლოებზე, რომლის ხელში სახალხო განათლება იყო. ოფიციალურათ ცნობილი იყო მხოლოთ ანკლიკანური და პრესვიტერიანული ეკლესია: კათოლიკებს, სექტანტებს და სხ. არავითარი უფლება არ ჰქონდათ.

მესამეთ, 1800 წ. გააუქმეს ირლანდიის პარლამენტი და ირლანდია მჭიდროთ დაუკავშირეს ინგლისს. ამიერიდან მას განაგებდენ ინგლისის მთავრობის მიერ დანიშნული მოხელენი.

ამ გვარათ, შევიწროება არისტოკრატული, ბურჟუაზიული, კლერიკალური და ნაციონალური — აი რას წარმოადგენდა ინგლისი ამ საუკუნის მეოცდაათე წლებში. პურის გაიაფება, მუშათა მფარველო-



ვილიამ გლადსტონი.

ბა, სარწმუნოების თავისუფლება, პოლიტიკური უფლებების გაფართოება და ნაციონალური თვით-მართელობა — აი რა აუცილებელი კითხვები წარმოშობა ცხოვრებამ. ინგლისის განვითარება უთუოთ ამ გზით უნდა წასულიყო. ასეთ პირობებში გამოვიდა გლადსტონი საზოგადო ასპარეზზე. ის, შეძლებული ფაქტის შვილი, ოქსფორდის არისტოკრატიულ უნივერსიტეტში აღზრდილი, კლერიკალთა წრეებით გარშემორტყმული, არჩეულ იქმნა ნიუეარკის კონსერვატიულ დეპუტატად. 22 წლის ჭაბუკი, კარგი შეხედულობის, შესანიშნავი მჭევრმეტყველი, განათლებული და მდიდარი შევიდა პარლამენტში არისტოკრატის ინტერესის დასაცველად. მან მაშინვე მიიქცია ყურადღება თავისი ენერგიული დაცვით რელიგიური უსწორ-მასწორების და მოწოდების (ამერიკაში). მაკოლეიმ გაარჩია ერთი მისი ბროშურა და აეტარა კონსერვატორთა „ამომავალი მზე უწოდა“. მაკოლეი შეცდა, გლადსტონი ამომავალი მზე იყო, მარა არა კონსერვატორთა. ამ ყოველივე რეფორმის მოწინააღმდეგე 1834 წ. წარმოთქვა: „სახელმწიფოს და ეკლესიის გონიერი რეფორმა სრულიად არ ეწინააღმდეგება კონსერვატიზმს“. ხოლო 1838 და 1840 წ. წ. დაბეჭდა ბროშურები, სადაც ხელ-ახლა იცავდა გაბატონებული ეკლესიის ხელ-შეუხებლობას. გლადსტონი რყევამა. ის ჯერ კიდევ ებრძვის კლერიკალურ პრინციპებს, ხან მათ თითონ სძლეეს და ხან თითონ არის ძლეული. ამდროს დაიწყო დიდი მოძრაობა პურის ბაჟის მოსასპობლად და პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად. პრეველს მეთაურობდა ბურჟუაზია, ხოლო მეორეს მუშა-ხალხში (ჩარტისტები). გლადსტონს, როგორც კაბინეტის წევრს, მიანდევს ტარიფის გადაშინჯვა, მან 1200 სხვა-და-სხვანაირ ბაჟებში 750 გააუქმა. ცოტა ხანში დაინახა, რომ წარმოების ის ღირებულება, რომლის ბაჟი მოსპო, თან-და-თან აყვავდა და გაძლიერდა. 1845 წ. ის ერთ თავის წიგნაკში წერდა: დღეიდან სახელმწიფო სიბრძნე მდგომარეობს არა ერთი რომელიმე კლასის უპირატესობის დაცვაში, არამედ მრეწველობის და მუშების ასეთ უპირატესობათა ბორკილიდან განთავისუფლებაში. ამით გლადსტონმა იცნო თავისუფალი ვაჭრობა. 1846 წ. გაუქმდა პურის ბაჟები — ეს არისტოკრატის უმთავრესი ბოძი. 1850 წ. გლადსტონმა გამოთქვა თავისი აზრი პატარა ერების შესახებ: დიდი სახელმწიფოს წმინდა მოვალეობაა დაიფაროს პატარა ერიო. იმავე დროს გაილაშქრა ნეაპოლიტანის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც საშინლად ტანჯავდა თავის ქვეშევრდომთ. 1853 წ. ის გახდა ფინანსთა მინისტრი კონსერვატორი ამერდენის კაბინეტში. მის მიერ წარმოდგენილი პროექტი —

ტი — განთავისუფლებულ იქმნას ბაჟისაგან ჩანს, საბარბო მარკა, განცხადება და სხ. აწეულ იქმნას გადასახადი შემოსავალზე და სხ. — მიიღო პალატამ.

ამ ნაირათ, გლადსტონი განშორდა ძველ კონსერვატიულ მოძღვრებას ეკონომიაში და მოემხრო ლიბერალიზმს. მარა მისი კლერიკალური და პოლიტიკური აზრები გამოურკვეველ მდგომარეობაში დარჩა. ამიტომ მის წინააღმდეგ ამხედრდნ როგორც კონსერვატორები, ისე ლიბერალები; ის შეიქმნა რალაც ლიბერალ-კონსერვატორი, რამაც ვერც ერთ პარტია ვერ დაკმაყოფილა. ის აქ შედრკა, შეფოხინთა და ერთი-ორი წლით თავი დაანება პოლიტიკას. ჩარტისტთა მოძრაობა გაძლიერდა და კონსერვატორთა დებრი-დიზრაელის სამინისტრო იძულებული გახდა სარჩევნო უფლებები გაეფართოებია. მათ მიერ წარმოდგენილი პროექტი ისეთი შუათანა იყო, რომ ვერ დაკმაყოფილა ლიბერალები და გააჯერა კონსერვატორები. კაბინეტი დაეცა. ახალი სამინისტრო შედგა ლიბერალი პალმერსტონის მეთაურობით და გლადსტონიც მოწვეულ იქმნა. პირველათ შევიდა გლადსტონი წმინდა ლიბერალურ სამინისტროში. მის მერ წარმოდგენილი პროექტი, რომლის ძალით შემოსავალზე გადასახადი ორი პროცენტიდან ოთხამდე უნდა აწეულიყო, დაკანონდა. ამ-თ მან დიდათ ააღელვა ინგლისის შეძლებული ნაწილი და გაახარა მუშა-ხალხი. მისი მეორე პროექტი — დაბეჭდილ ქალაქებზე ბაჟის გაუქმება, რაც ნიშნავს ჟურნალ-გაზეთების გაიფუბას — მიიღო ქვედა პალატამ, უაჩუყო ლორდთა პალატამ. გლადსტონი ამხედრდა ლორდების წინააღმდეგ და მეორე წელს მაინც თავისი გაიტანა. ახლა მან სრულიად გაწყვიტა კავშირი არისტოკრატისთან და გადავიდა დემოკრატისაკენ. 1864 წ. გლადსტონმა პირველათ აღიარა: მუშებსაც უნდა მიეცეს პოლიტიკური უფლებათა „ჩემის აზრით ყოველივე ადამიანს, რომელიც განსაკუთრებით ცუდი თვისებით არ არის აღჭურვილი, უფლება აქვს ისარგებლოს კონსტიტუციით“. გლადსტონის ასეთი აზრი აღარ მოეწონათ ახლა ზომიერ ლიბერალებსაც. გლადსტონი დაადგა რადიკალიზმის გზას. 1865 წ. არჩევნების დროს, გარადიკალურული გლადსტონი გააშევა კლერიკალურ ოქსფორდმა, სამაგიეროთ გაათეთრა ლივერპულმა. გლადსტონი, უარყოფილი არისტოკრატის და კლერიკალების მიერ, თან-და-თან მოუახლოვდა წერილ ბურჟუაზიას და მუშა-ხალხს. შედგა ახალი ლიბერალური კომიტეტი რუსელის მეთაურობით. მიწვეულ იქმნა გლადსტონიც. ის შეიქმნა ქვედა პალატის მეთაურათ. რუსელის მიერ წარმოდგენილი პროექტი სარჩევნო უფლების გასაფართოებლად უაჩუყო პარლამენტმა და სამინისტროც დაეცა. დიზრაელის კა-

ბინეტმა დააკანონა, რომ სახლის მქირავებელთაც მიეცეს კენჭის უფლებაო. ასეთი ვიწრო რეფორმის წინააღმდეგი იყო გლადსტონი, თუმცა სულ არაობას ესეც სჯობსო. 1868 წ მან წარადგინა: გაუქმდეს ირლანდიაში სახელმწიფო ეკლესია, რომელსაც მხოლოდ მსახურებთა ერთი მეთედრ აღარებს და სამღვდლოებდასაც მოესპოს ხაზინის ჯამაგირო. პალატამ მიიღო ეს და დიზრაელი დაეცა. ახალ არჩევნებმა გამარჯვება მიანიჭა გლადსტონს. ის პრეველათ გაათეთრეს მუშათა და დემოკრატიის რაიონში. გლადსტონი გახდა პრეველი მინისტრი. მან გაიყვანა პროექტი ირლანდიის ფერმერთა სასარგებლოთ დააკანონა პრეველ დაწყებითი სწავლის ვალდებულობა, სკოლების კლერიკალთა ხელიდან რაოდენიმეთ მაინც განთავისუფლება, მუშათა კორპორაციების და გაფიცვის უფლება და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, გლადსტონის რადიკალობა აშკარა შეიქმნა. ამან გამოიწვია წინააღმდეგობა თვით ლიბერალთა შორის და გლადსტონის კაბინეტი დასცეს. ხელ-ახალ არჩევნებზე ის ძლიერ იქნა არჩეული, მისი ამხანაგი მინისტრები გააშავეს. გლადსტონი ხელმეორეთ შედრკა და პოლიტიკას განშორდა, მარა ძალიან მოკლე დროებით. ბოლგარების აჯანყებამ და ირლანდიის არეულობამ ის ისევ ასპარეზზე გამოიწვია. გლადსტონი მოემხრა ბოლგარელთ და გაილაშქრა ირლანდიის აგრარიულ ლიგის და ჰომრულერთა წინააღმდეგ. მან, როგორც მინისტრმა, სასტაკი ზომები მიიღო ირლანდიელთა დასათრგუნავათ, დაატყვევა მათი მეთაური პარნელი, დაეითი და სხ. მარა ყოველივე ზომა ამაო იყო. ირლანდია უფრო და უფრო აღელვდა. ბოლოს მან ციხეში ინახულა პარნელი და მიემხრო ჰომრულს (ირლანდიის თვით-მართველობას, საკუთარი პარლამენტი). ეს პროექტი მან შეიტანა პარლამენტში, მარა უარყო დიდმა უმრავლესობამ. გლადსტონი დაეცა, მარა წინეთ მოასწრო არჩევანთა უფლების გაფართოება და თითქმის ერთიანთ ვადემოკრატება. ახლა მან თავის აზრი ირლანდიის შესახებ გააგრცელა ხალხში და 1892 წლის არჩევნებზე მაიპოვა უმრავლესობა. ჰომრული მიიღო ქვედა პალატამ, უარყო ლორდთა პალატამ და გლადსტონმაც დაიძახა: ძირს ლორდებო! მარა მოხუცებულ გლადსტონს ძალ-ღონემ უღალატა, მხედველობა შეუსუსტდა და იძულებული შეიქმნა ბრძოლის ველს გაცლოდა. თავის მოადგილეთ დანიშნა ლორდი როზბერი, რომელიც ასრულებდა უფრო ჰამლეტის როლს, ვინემ რაიმე გადაჭრილ პროგრამას...

ამ ნარათ გლადსტონი, პრეველათ არისტოკრატის მომხრე, თან დათან ვადემოკრატდა, ქვეყანა განათავისუფლა არისტოკრატის უფროსობისაგან და გაიყვანა

დემოკრატიის გზაზე. აი ასეთი იყო ეს დიადი მოხუცი კაბუკობაში კონსერვატორი, სიმოხუცეში რადიკალი, აი გლადსტონი! პირდაპირობა ბრძოლაში, გულწრფელობა პოლიტიკაში, ზნეობა დიპლომატიაში — აი მისი ძირითადი თვისებები. ის ნამდვილი ინგლისელი ჯენტლემენია, ჯენტლემენია ყოველგან, როგორც კერძო საშიაო საქმეებში, ისე საზოგადო, სახელმწიფო საქმეებში. ის ერთთ ერთი მინისტრია, რომელსაც ინგლისელებმა უწოდეს „man of kon-science“ — სეინილისის კაციო...

ნ. ყორღანია.



სხვა-და-სხვა ამბავი:

უმ თვის 13-ს დანიშნული „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრთა კრება არ შედგა, მეორე კრება დაინიშნა 30 ამ თვისთვის.

ორშაბათს, 18 მაისს, ბათომათ თფილისში ჩამოვა გზათა მინისტრი ხილკოვი.

თფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებამ შეატყობია ქალაქის საბჭოს, რომ ის მზათ არის მთელი გზა ქალაქს მიჰქიდოს, თუ სხვა რომელიმე კომპანიას ვერ მიჰქიდოს.

საოხუმიდან იწერებიან, რომ სიმინდის ფასმა აიწია თერთმეტ შაურამდეო. გაქვთ უფრო სათათრეთში, ასე რომ უკანასკნელ ათ დღეში ასი ათას ფუთზე მეტი გაიტანესო.


პეტერბურგის თავისუფალ სამეურნეო საზოგადოებამ აცნობა თფილისის სამეურნეო საზოგადოებას, რომ ის გზანის კავკასიის მოუსაველობით დაზარალებულთა სასარგებლოთ 3,000 მანეთს.

საფილოქსერო კომიტეტს აზრათ აქეს შინჯოს ფილოქსერის დახოცვა ელექტრონით.

ქუთაისის საბჭოს ამრჩეველთა სია უკვე შედგა. მეკენჭეთა რიცხვია 752.

თელავში მეფურნები გაფიცულან და ორ დღეს პური არ გამოუცხვიათ. ისინი თხოულობენ პურზე ფასის მომატებას.

უკანასკნელი დეპეშა გეაძლიეს სრულ ცნობას საფრანგეთის დეპუტატთა არჩევის შესახებ, არჩეულ



იქმნენ: 254 რესპუბლიკანელი, 104 რადიკალი, 74 რადიკალ-სოციალისტი, 57 სოციალისტი, 38 მონარქიელი, 4 რეაქციონერი და 10 ნაციონალისტი. სოციალისტებმა მოიგეს ცხრა ახალი ადგილი, ხოლო მათ ამომრჩეველებს უკანასკნელ ოთხ წელს ნახევარი მილიონით უმატია.

ომი ისპანიას და ამერიკას შორის ჯერ-ჯერობით ვერაფრით ვერ გადაწყდა, და, როგორც ჩანს, დიდ ხანს გაგრძელდება. უეჭველია ეს გაგრძელება ამერიკის სასარგებლოა, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში ის ახალ მოკრებულ ჯარს გაწრთენის და რეგულიარულ მხედრობას დაამზავებს. მაშინ კუბის აღება აღარ გაუჭირდება.

„კეკელის“ კორესპონდენცია.

ქიზიყი. უმთავრესი ყურადღება ჩვენი მაზრის გულშემატკივართა უნდა იყოს მიქცეული სკოლების გამრავლებაზე და სწავლის გაგრძელებაზე. სკოლები მეტათ ცოტა გვაქვს მაზრაში და ხალხი მოკლებულია სწავლა-განათლების სხივს. ამას თვით გლეხებიც კი გრძნობენ. მთელ სიღნაღის მაზრაში, 54 სოფელში, სულ 13 სამინისტრო და ორი სამრევლო პირველ დაწყებითა სკოლაა—ყველა სწავლის მსურველნი რომ დაეკმაყოფილოთ, მაშინ ერთი ოთხათ მინც უნდა გავამრავლოთ სასწავლებლების რიცხვი. რომელ სოფელშიაც კი არსებობს სასწავლებელი, იქაც კი ერთ მესამედზე მეტი სასკოლო თაობისა უსწავლელნი გვრჩებიან სასწავლებელში ულაგობის გამო. მაგალითათ სოფელ ანაგაში, სადაც ორი სასწავლებელი—სამინისტრო და სამრევლო—გაიხსნა წარსულ წელს, ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებენ სკოლები და ბევრნი უსწავლელნი რჩებიან. ქალების სასწავლებლები ხომ სანთლით საქმბნელია ჩვენში. მთლათ მთელ მაზრაში სულ ერთი საქალბო სკოლაა და იქაც 30 ქალზე მეტის მოსათავსებელი ალაგი არ არის, რის გამოც ხალხმა ლამის ერთმანეთი დაქამონ: არა ჩემი შვილი უნდა მიიღონ და არა ჩემიო. მთელ მაზრაში სკოლებთან წიგნთ-საცავი და სამკითხველო არსად არ მოიპოვება. სწორეთ რომ ვთქვათ არც თვით ზედამხედველნი ცდილობენ ამისთვის და ხალხს რომ იმდენი შეგნებაც არა აქვს, რომ ეს ნაკლი იგრძნოს და დახმარებაც აღმოუჩინოს რაიმე ამ საქირო საქმისთვის. ყმაწყილი სწავლის დამთავრებით ყოველ კავშირს წყვეტს სკოლასთანაც და მთლათ მწიგნობრობასთანაც, რის გამოც მალე ავიწყდება ისეც სუ-

სტათ შეძენილი ცოდნა და ამიტომ სკოლაც ვერ ამართლებს თავის დიდ დანიშნულებას, ვერ ამართლებს ხალხის სკოლისადმი იმედს და ვერ აკმაყოფილებს იმათ მოთხოვნილებას.

თვით მასწავლებელიც დიდ გაჭირებაშია. იკი შემოხვეულია უვიცი ხალხით; ყველანი იმისგან ელიან კარგის ჩაგონებას და ცოდნის შეძენას. მასწავლებელი კი არაიისგან მოელის გონების საგზალს. წიგნთ-საცავების და სამკითხველოების უქონლობის გამო სასწავლებლებთან მასწავლებელი მოკლებულია საშუალებას თანდათან ცოდნა განიახლოს, ახალი შეიძინოს რაიმე, თვით განვითარდეს, ისწავლოს და ხალხსაც ასწავლოს. თვით რაც იცოდა მასწავლებელმა, პირველ მოსვლაზე იმას ჯერდები ძალა-უნებურათ, იმასაც წლითი-წლობამდის ხალხი აცლის, თითონ წლითი-წლობამდის უკან-უკან მიდის ცოდნით და ბოლოს სულ ჩამორჩება ხოლმე მცოდნე საზოგადოებას. ესე რომ არ დაემართოს კი საქიროა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, წიგნები, ჟურნალები და გაზეთები და ამეებს სოფელი არ აძლევს მასწავლებელს და თვით ხომ დღიურ ლუკმას ძლივს შოულობს თორემ აბა სად მოეპოვება ჟურნალ-გაზეთების და წიგნების შესაძენათ საშუალება. ხალხს სწავლის ხალისი კი აქვს, უნდა შეელებს ასწავლოს, სკოლიდან ბევრს თხოულობს. საზოგადოება და თვით უფროსი მოხელენი კი რომ რიგიანათ ექცეოდნენ მასწავლებლებს, ღირსეულათ აფასებდნენ მასწავლებლების შრომას და ოდნე მინც ცდილობდნენ იმათ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, მაშინ ისინიც ძალით და ენერგიით მოეჭიდებოდნენ სწავლის დიდ საქმეს და მეტ სარგებლობასაც მოიტანდა სკოლა.

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ რომ პირველ დაწყებითი სასწავლებლები ძალიან ცოტა გვაქვს. მაგრამ თუ პირველ დაწყებითი სასწავლებლები ცოტა გვაქვს ორკლასიანი, სახელოსნო ანუ სამეურნეო განყოფილებითი სასწავლებელი სულ არა გვაქვს. ამასთანავე სკოლების დაარსებას და მის გაძღოლას, რასაკვირველია, მეტი ხარჯიც ეჭირება და მეტი შრომაც; ჩვენ ხალხს კი ამისთვის არც შეძლება და არც მომზადება არ შესწევს. დღიური გაზეთების მკითხველებს ეხსომებათ რა ალიაქოთი ატეხეს, რა ქება დიდებას წერდნენ ქიზიყიდან ზოგიერთ პირებზე, რომ ვითომ მათი მოწყალეობით და მეცადინეობით განაჩენები დაადგინეს და ორკლასიანი სახელოსნო განყოფილებით ან მეორე ხარისხის სამეურნეო განყოფილებით სასწავლებლები დაგვიარსდა და სწავლა-განათლება მოგვეჩიქა. მერე არ იკითხავთ—რა იქნა ან ის განაჩენები, იმ ნაქებ პირებისაგან შედგენილი, ან დაარსდა ან ერთი და ან

მეორე მოხსენებული სასწავლებელი? ან ისე იყო მართლა საქმე, როგორც ისინი მოკვითხრობდენ? არა ბატონებო, არც ერთი და არც მეორე სასწავლებელი სახელოსნო ანუ სამეურნეო განყოფილებით არ დაუარსებიათ და აღარც იმედია იმისი. საქმეც აი როგორ გახლდათ. რამდენიმე წელია რაც ქიზიყს რიგიანი მოსავალი არ მოსვლია. მოუსავლობის გამო ქიზიყი გაღარიბდა, ქონებით დაეცა და ზოგიერთი სოფლები თითქმის დაიშა კიდევ. ამისთანა ქონებითი შევიწროების დროს ხალხს ფიქრათაც არ მოსვლია რაიმე სასწავლებლის დაარსება. მთავრობამ მიაკცია ყურადღება და 1897 წელს წინადადება მისცა მთელ მაზრას—მეორე ხარისხის სკოლას სამეურნეო განყოფილებით დაგიარსებთ, ყოველ წლიურ სკოლის არსებობისთვის 150 მან. მოგცემთ და პირველ ხანებში 2000 მან. შენობის ასაგებათ, თუ სასკოლო ალაგს, დანარჩენ შენობის ასაკებ ფულს და ყოველ წლივ 500 მან. სკოლის გასაუმჯობესებლათ თქვენ იკისრებთო. თუ თანახმა ხართ, განაჩენები წარმოგიდგინეთ თქვენ სურვილზე და ჩვენც დაპირებულს აგისრულებთო. თითქმის ამავე წინადადებით მიჰმართა მთავრობამ ქიზიყს 1895 წელს ორკლასიან სახელოსნო განყოფილებით სკოლის დასაარსებლათ. მართალია, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ქიზიყი მოუსავლობით შეწუხებულია, მაგრამ ისე კი ღმერთმა დაგვიფაროს, რომ თავის საჭიროებისათვის რამდენისამე გროშის გამოღება არ შეეძლოს. ან რა სათქმელია მთელი მაზრისთვის სადაც 50 ათას სულამდი მამრობითი სული ირიცხება 500 მანათი. მხოლოდ საქმის მოთავეთ და სკოლების გამგეთ საქმე წინათვე ვერ გაითვალისწინეს, ვერ აწონ-დაწონეს, ვერ შეიგნეს და იმის მაგიერ რომ მთელი მაზრა მოეწეიან დასახმარებლათ ამ საერთო საჭირო და სასარგებლო სასწავლებლების დასაარსებლათ, ან მოეწეიან ის საზოგადოებები, რომელიც თავის ნებით ისურვებდენ მაზე ზრუნვა შენახვას—აიღეს და მთლათ ზურგზე წამოჰკიდეს ქიზიყის ვითომ და გულშემატკივარ ინტელიგენტთ, რომელნიც აჯერებდენ მოთავეთ რომ ისინი წარმოგზავნილნი არიან ქვემო ქიზიყის საზოგადოებათაგან, რომელნიც მზათ არიან ყოველი მთავრობის მოთხოვნილება დაუყოვნებლივ და ერთი-ორათ მეტათ შეასრულონ, იმ პირობით კი რომ სასწავლებლები დაარსდეს და ისიც იქვე მაჩხაანში. საცა იაფია მუშტარიც იქ მიდის და სკოლის გამგებლებმაც მიაშურეს ქიზიყს, რადგან, როგორც აჯერებდენ, იქ ხალხი მზათ იყო და იმათაც აღარაფერი შრომა აღარ დაჰირდებოდათ. ის კი არა, თურმე ქვემო ქიზიყის წარმომადგენლებთ და ქიზიყის ძალათ ღირისუფალთ

საზოგადოებისთვის არა ეთქვათ რა და არც საზოგადოებას მიენდო რამე მათთვის. როდესაც სკოლის გამგენი მიდიოდენ სოფლათ--სოფელთან მოსალაპარაკებლათ სკოლის თაობაზე, იქ მათ მთელი საზოგადოების მაგიერ ხედებოდენ რამდენიმე გაიძევერა სოფლის ყლაპიები, რომელთათვისაც სულ ერთია რაც გინდა მოთხოვე სოფელს, ოღონდ კი მათ გადააყლაპე რამე, ისინი უარს არაზე იტყვიან, ყველას დაჰპირდებიან, დარწმუნებულები, რომ ხეალ ისევე შეუძლიათ გადათქვან სიტყვა. მარა ზოგიერთ პირებმა ხალხი გააბრიყვეს, მთავრობა გატყუებსთ ღ არავითარ შემწეობას არ აღმოგიჩენსთო, და საზოგადოებებმაც უარი განაცხადეს განაჩენების დადგენაზე. ასე ამ რიგათ ქიზიყმა ორი ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმე გაუშვა ხელიდან უბრალო ქიშპობის წყალობით და მთავრობის დახმარებაზე უარი განაცხადა და ვინ იცის მთავრობა შემდეგში, როცა ესენი გონს მოვლენ, აღმოუჩენს კიდევ დახმარებას თუ არა! შეგნებული გლეხებიც ჰკრძნობენ თავის შეცდომას, მაგრამ, ხომ მოგვსენებათ, იმდენათ მომზადებულიც არ არიან ჩვენი გლეხები, რომ უმოთავეოთ, სხვათა დაუხმარებლათ თითონ აწარმოონ საქმე. სოფლის გულ-შემატკივრები, რომლებიც წინეთ აპილპილდენ, ჩაჩუმდენ, სადღაც მიიძალენ, თავისი სურვილი და ავიწყდათ და სოფელს ყურს აღარ ათხოვებენ, არ ცდილობენ ჩააგონონ ხალხს, რომ სასწავლებელი გაემართათ და რიგიან გზაზე დაეყენებიათ, 2-3 წელს შემდეგ თავის თავს თითონვე შეინახავდა თავისი ნაწარმოებით და ხალხსაც დიდ დახმარებას აღმოუჩენდა. ახლაც შეიძლებოდა განაჩენების დადგენა და, თუნდაც განაჩენებით არ ეკისრათ სოფლელებს იმ მცირედი შემწეობის მიცემა, რომელსაც მთავრობა თხოვდა, ხელის მოწვრითაც შეიძლებოდა ამ ფულის შეკრება. მარა ბევრნი მხოლოდ ჰყვირიან, ლაპარაკობენ და არაფერს კი არ აკეთებენ.

ქათლოსიანი.



კვირიდან კვირამდე.

ბეჭვის ხიდი—რეკვენი საქმეს წახდენს ფათეჩას დაახლდესო—la patrie en danger—ერთი ინსპექტორის მოღვაწეობა—დაუპატიუბელი სტუმარი.

3 იდევე ერთი სამწუხარო ამბავი: გასული კვირის „კვირიდან კვირამდე“ თავი დაგვიკრა და სამულა-

მთ გამოგვეთხოვა. აქეთ ვუტრიალე, იქით ვუტრიალე, მარა არ იქნა და არა, ვერას გზით ვერ მოგაცდიე ის დღე-ნაკლები. ის ისეთ მთვარეზე დაიბადა, რომ წინ-და-წინ ვგრძნობდი ამას გათვალევენ, მისი გაზდა არ იქნება მეთქი, მარა ისე უცებ და ისე ერთიანათ თუ საიქიოსკენ გაემგზავრებოდა — ეს სწორეთ აღარ მეგონა. ქე მაინც ჩინებული რამ არ ყოფილიყო ის დალოცვილი. და სწორეთ იმიტომ ვიკარგვი ჯურღმულში, რომ ასეთი კარგი ვარო! განმიცხადა გამოთხოვების დროს და მოჰკურცხლა. დავრჩი დალონებული, თვალ-ცრემლიანი და მხოლოთ ვიმედოვნებ ამ მომდინარე კვირით, ეგებ ამას მაინც გამოვაბრუნებო პირი სინათლისაკენ. მაშ ფრთხილათ, არავინ გავაჯავროთ, არაფერს შევეცხოთ, თვარა ვინ იცის სად ჩავიტყუდება ბეწვის ხიდი და დავრჩებით წყალ წალბული.

* *

და მერე რა და რა ამბები არ დატრიალდა ამ ერთი კვირის განმავლობაში. ეს შეიდი დღე, ასე ვთქვათ, ძიების დროა. ვისაც რამე ცოდვა ჩაუდენია, ყოველივე ახლა მელაენდება და ერთისაგან ქება-დიდებათ, მეორესაგან წყევლა-კრულვით იხსენიება. პირველ ყოვლისა ამ თავის თავის მხილებას ქუთაისის ინტელიგენცია შეუდგა. მოგეხსენებათ, რომ იქ სხვა და სხვანაირი ინტელიგენტები ბოგინობენ, მარა მხოლოთ მის „მოლობერალე“ ნაწილს მიაჩნია თავის თავი „ქემმარიტ“ ინტელიგენციათ და ჩემობს ქუთაისის მედროშეობას. რასაკვირველია არც ეს დროშა ისე მძიმე, რომ მათ მისი ტარება არ შეეძლოსთ. პირიქით ეს დროშა ხშირათ ისე ამსუბუქდება, რომ პატარა ნიავიც კი აიტაცებს მედროშეებითურთ და სადღაც უაღაგო ალაგას გადატყორცნის. ერთმა ასეთმა ნიავმა მათ ამ ერთი წლის წინეთ დაჰქროლა, აქეთ მოუბერა, იქით მიუბერა და ბოლოს ერთ შევნიერ დილას მიუვალ ქაობში აახილეს თვალეები. დიდება შენდა ღმერთო, აქ რა გვინდაო, და მორთეს კიჟინი: მოგვიტაცეს, მოგვატყუეს, გაგვათრისო! ერთ ამათ-განმა ამ ამბის ისტორია ამ დღეებში რუსულ გაზეთში დაბეჭდა (НОВ. СВ.) და მით უკვდავთ ჰყო თავის თავი. ის რინიანათ მოგვითხრობს, რომ ერთ ვილაც ყოველივე ნდობა დაკარგულ ან — ძეს ვენდეთ, მეთაურათ გავხადეთ და ბოლოს ასეთ პატივისცემას წიხლი გვიკრაო! ახია თქვენზე, უეჭველია მისი მეთაურობის ღირსი ყოფილხართ, თვარა რომელი გიჟი აჰყვება იმას, რომლის უნდობლობაში დარწმუნებულია. სწორეთ ამაზე ნათქვამი: საქმეს რეგენი წახდენს, ფათერაკს დაბრალებსო....

* *

თუ კი ჩვენი ნაფიცო ინტელიგენტნი ასე უთაე-

ბოლოთ საქმიანობენ, სამაგიეროთ არიან ისეთი ინტელიგენტებიც, რომელნიც ნამდვილ მუშაკობას დასაქმის ცოდნას იჩენენ. მარა მათ ჯილდოს ღ ქება-დიდების მაგიერ ბრალმდებელი ოქმიც კი წილათ ხედებათ. აი მაგალითათ, რაღაც ფათერაკათ ყვარელის მასწავლებელი დიმიტრი დუმბაძე ბრალდებულთა სკამზე დასკუბებულია. ვინ არის დუმბაძე? ინსპექტორი გროზლოვი ასე ახასიათებს მას სამსჯავროს წინაშე: „დუმბაძე იყო კარგი პედაგოგი, ჩინებულით და სინიდიცერათ ასრულებდა თავის მოვალეობას. მისი შეგირდების ნამოქმედარი ნიჟნი-ნოვგოროდის გამოთენაშიაც იყო გაგზავნილი“ და სხ. აი ასეთი ნიჭიერი მასწავლებელი თავის სკოლასთან ხსნის სახელოსნოსაც და სკოლას ფეხზე აყენებს. მარა მას აუხიბდება ინსპექტორი ბოგდანოვი და სახელოსნოს უკეტს. ვინ არის ეს ბოგდანოვი? აი როგორ გაგვაცნო მან თავის თავი. დუმბაძის ვეკილი ჰკითხავს: — საიდან იცით რომ დუმბაძეს გავლენა ჰქონდა თ. ჰაგვაძეზე? პასუხი: მე ეს ვიცი. — ვისაგან ვაიგეთ? — ეს ჩემი მოსაზრებაა. კითხვა: რა საფუძველით ამბობთ, რომ დუმბაძეს მასწავლებელი ქალი რომ მოეკლა, ვითომ, მას დაწერილ ანდერძს უვდებდა, ჩემი ხელით, მოვიკალი თავიო? პასუხი: ამას ამბობდენ ყველა თანამოსამსახურენი. — ვინ სახელდობრ? — ამას მე ვამბობ. — მაშ ფაქტი არა გაქეთ რა? — ეს ჩემი მოსაზრებაა. — როგორ ნახეთ ეს შესაძლოთ, რომ თქვენ ხელ-ქეითს, უსაფუძვლოთ, ასეთი ბრალდება დასდეთ!.. ბოგდანოვს პარში წაუყენებენ ყვარელის მამასახლისის და ჩერკასოვის, რომელნიც უარ ჰყოფენ ბოგდანოვის მიერ წამოყენებულ ბრალდებას, რაიც ვითომ და ამ პირებმა მას უამბეს. აი რა კაცი ყოფილა ეს ინსპექტორი ბოგდანოვი. მას აუთვალწუნებია დუმბაძე, „ნამეტანი პატრიოტიო“ და ესეც მხოლოთ თავისი ეჭვით, უსაბუთოთ, უფაქტოთ. და ბოლოს ას მას იქამდის ავიწროებს, რომ გონება ეკარგვის ღ თავის ამხანაგ რუსის ქალს, რომელშიაც ბოგდანოვის ჯაშუშს ხედავს, რეველვერს ესერის. სასამართლომ ის გაამართლა იმით რომ გიჟათ სცნო და საგიჟეში გაგზავნა. ასეთია ბოგდანოვის პედაგოგიური მოღვაწეობა.

* *

ერთი ამის მზგავსი ძალ-მოპრეობა სოხუმში დატრიალებულა. ეს 30 წელიწადია ქალაქის მამულზე 50 კომლი მეგრელი სახლობს და მიწის ბაჟს ქალაქს უხდიან. მიწა შეიმუშავეს, მამულიც გააშენიერეს, შრომა და ფული ჩაჰყარეს და უცებ ერთ შევნიერ დღეს გამოცხადებიათ სოხუმის პოლიცია და უთქვამს: მართალია ყოველივე ეს თქვენი მარჯვენის ნაყოფია და თქვენ გეკუთვნის, მარა ამიერიდან ეს თქვენი აღარ

არის და მიბრძანდით სადაც გინდათო. რატომ? უკითხვეთ გულ-გახეთქილ გლეხებს. რატომ და ამ ალბანას ორი შორეული ოჯახი თხოულობს სამოსახლოთო! ვითომ არ იყოს იქ სხვა თავისუფალი მიწა! რით ჩამორჩება სოხუმელთა თავხედობა ბოგდანოვის თავხედობას!

† ნ ე კ რ ო ლ ო გ ი .

ალექსანდრე ჩოინაშვილი

ზარასკევს დასაფლავებს ალექსანდრე სოლომონისძე ჩოინაშვილი, რომელიც უეცრათ გადაიკვალა ორშაბათს, 11 მაისს, საღამოს 9 საათზე. მისმა სიკვდილმა დიდათ შეაწუხა მთელი ჩვენი საზოგადოება. აუარებელი ხალხი დაესწრო მის გამოსვენებაზე. იგი არ იყო ხარისხოვანი, ბრწყინვალე ჩამომავლობისა, იყო მხოლოდ უბრალო გლეხი, უგროშოთ ჩამოსული თფილისში, რომელმაც თავისი მეცადინეობით გაიგნო გზა და მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა ჩვენებურ სიძველეთა ძებნას და შეძენას. მას მოვლილი ჰქონდა თითქმის მთელი საქართველო. სადაც კი შესანიშნავ ნაშთს ნახავდა, ფოტოგრაფიით გადიღებდა; ამ გვართ მან შეაგროვა, მეტადრე დაღესტანში, სადაც დიდხანს იმყოფებოდა, კარგი მუზეუმი; ისიც ზე ყველა თავისი ქონება უანდერძა „წერაკითხვის გამავრც. საზოგადოებას“. ჯერ ჩვენ ხალხს არა აქვს შეგნებული საქველ-მოქმედოთ თავისი ქონების დატოვება. მართალია ერთი ორი მაგალითი იყო, მაგრამ ან ისეთი მცირე შემოწირულობა იყო ხოლმე შედარებით შემომწირველთა შეძლებასთან, რომ ყურადღების ღირსიც არ იყო, ან ისე უხეიროთ, უგულლოთ დაწერდნ ანდერძს, რომ ბოლოს საქველ-მოქმედო მიზანს არ მიადრწევდა ხოლმე. ალექსანდრე ჩოინაშვილმა თავის ანდერძში მარტივათ და ნათლათ დაწერა მხოლოდ შემდეგი: „მე, დუშეთის მანკის მცხოვრებელს, გლეხ ალექსანდრე ჩოინაშვილს, მიანდერძებია ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის ყველა ჩემი მოძრავი ქონება და ფული, რაც აღმოჩნდება ჩემ სიკვდილის დღეს“.

წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდი ხანია მოწადინეა ააშენოს ისეთი შენობა, რომ ჩვენი ისტორიული ნაშთები შეინახოს და ჯიბე ნებას არ აძლევდა. იქნება განსვენებულის მაგალითით სხვებმაც ხელი გაუმართონ „საზოგადოებას“ და ყველა ქართველის დიდი ხნის სურვილი განხორციელდეს. განსვენებული ალექსანდრე კაი მამულის შეილი იყო და თითქმის არც ერთი საქველ-მოქმედო

საქმე ისე არ დაწყებოდა, რომ მას ნიეთიერთ ხელი არ გაემართა, ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ იგი თავის ნაშრომს და არა მამაპაპეულს ხარჯავდა ხოლმე; ხშირათ თავის თავს აკლებდა ზე გაჭირებულებს კი ხელს უმართავდა. მან გამოზარდა და ზრდიდა ახლაც ბევრ ყმაწვილებს, რომელთა რიცხვი ნამდვილათ ჯერ არ ვიცით. ფულათ სახსენებელი არ დარჩარა, სულ ორას-სამასი თუმანი, ძნელიც იყო რომ იმისთანა უხე გამცემს ბევრი ფული ჰქონოდა. იმედია ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრც. საზოგადოება ღირსეულათ გაუძღვება მის ქონებას.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მუშაკო ალექსანდრე.



გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი .

ზამთხისზღა მთა და კელი, ათას ფეწათ იწყე პსინვა

და ყველას ახსს დააიწყა გამოკლდილი ზამთრის ყინვა...

მაგრამ მე, კაცთ შთამომავალს, კვლავ გულს მიწუფავს უზნობას, და აღარც მჩქამს სისარული, სიყვარული, მეგობრობა...


ვინც ჰიჩკვლათ მაგრძნობინა სიყვარულის დიდი ძალა, ისევე თვითვე დამამსჯრია და ნადკვლზე შემიცვალა.

გულ დაწვეპტით, სეკდინათ, მუწით გუჩქეკ ასლა წანსულს და, რაც მისგან მსვდა დიმილი, ახლა ორკეც მიწამლავს გულს...

რადას მომკვრის გაზაფხული? რა მომკლდის, რადას კელი?... რადას მარტებს ათას ფეწათ მობიბინე მთა და კელი?...

კვლავ მარტო ვარ დაჩქინილი,
 კვლავ გულის მიწყლავს უზრუნველ...
 ნუ თუ მარტო სიტყვების
 „სიყვარული“ „მეგობრობა“?..

ბ. დავითაშვილი.



ბ. ნ. წერეთლის საპასუხოდ. *)

ღწი კ' დროა გაეუზაროთ მოკლეთ მკითხველებს 10 ფუთი პარკის ანგარიში, რომელზედაც ააშენა ბ. წ—ლმა თავი იხილა პარიკი; რომელიც იყო მისი წერილის საძირკველი და ააშენა მთელი პოლემიკური სობინძურე; ან კი რას უნდა მოველოდეთ მეტს მისგან?! ხომ ვიცით, რომ „კოკაში რაც დგას ის წარმოადინდება“!. ამ ანგარიშთანვე ვუანგარიშებთ მკითხველებს თუ რა დაკარგა საზოგადოებამ პარკის მარსელში გაუყიდველობით, და რაც შეეხება ჩვენი მოკამათის პოლემიკურ ოსტატობას, მკითხველი თითონ დააფასებს რეკლამად რა მანც დაკარგავს იმისთვის, ჩვენ კი, ჩვენი მხრით თავიდან ავაშორებთ მკითხველს უგემურ წუთებს; სრულიად გადაჭარბებულათ მიგვაჩნია „СТРѢЛЯТЬ ИЗЪ ПУШЕКЪ ВЪ ВОРОНѢЯ“. ეს ჩვენი საქმე არ არის.

10 ფუთი პარკის ანგარიში: 2 ცალი თეთრი პარკი 86 კილო, 4 გრამი; 2 ცალი ყვითელი პარკი 75 კილო, 3 გრამი; შეადგენს 161 კილო, 7 გრამი. გამოირიცხება ტარის 7 კ. 21 გ.; დარჩება 154 კ. 679 გრამი; გაიყიდა თითოეული კილო 6 ფრ. 50 სან. 1005 ფრ. 40 სან.; დაისაჯდა: ანალიზის გასაკეთებელი ქირა „Condition des Soies“ 37 ფრანკი 60 სანტ.; რკინის გზის, მუშების, ტელეგრამების ხარჯი წარმოადგინა ვერნემ (კომისიონერმა) 127 ფრ. 70 სანტ. ამანვე მინუშების გასაგზავნი წერილების და 1/10 36 ფრ. 48 სანტ. მყიდველ ანტუარდისგან ესკომპტი 1 1/10-10 ფრ. 5 სანტ. მე დავხარჯე ტე-


ლეგრამების 36 ფრ. 48 სანტ. სულ—248—31 და 248 ფრანკი 31 სანტ. უნდა გამოირიცხოს 1005 ფრანკი 40 სან., და დარჩება 757 ფრ. 9 სანტ. ეს გადაიტანოთ რუსის ფულზე (ფრანკი=38 კაპ.) გამოვა 272 მან. 52 კაპ. გამოვიდეთ აქედან 7 მ. რომელიც ჩემ ძმას დაუხარჯავს ამ საქმისთვის და კიდევ 3 მ. რაც მე დავხარჯე ტელეგრამაში. დარჩება 262 მ. 52 კაპ. ბ. ნ. წერეთელს გადავეცი 225 მ. დარჩა გადაუცემელი 37 მ. 52 კ. სამაგიეროთ ჩვენ შეგვრჩა ჯილდოთ ერთი თვის იქ (პარიკში) გაჩერება, რომელიც გამოიწვია ამხან. მმართველის მოწერ-მოწერამ, თუმცა იმ ერთი თვის წინეთ უნდა წამოვსულიყავით, ასე გვექონდა ჩვენი საქმე მოწყობილი. ამ ანგარიშის მოსმენა ბ. წ—ლს ააჭრჯოლებს, საწყენათ კი არა—სასიამოვნოთ, სულით და გულით გაიხარებს, რომ ამ ათი ფუთი პარკის ფასი არ ეთანხმება 45 მ. და 50 კაპ. წმინდას, რომელსაც ვწერდით. მარა ეს საკუთარი მისი ნამოქმედარია. ჩვენ როგორც ტელეგრამებში, ისე წერილებშიაც ვწერდით ბ. წ—ლს, რომ გასაყიდელი პარკის რაოდენობა უკანასკნელი 61 ფუთია ერთ გვარი პარკისათქ. თქვენც კი იცით, რომ აქაური მექარხნეები არც გაჭირვებული არიან იმით რომ ვითომ საქონელი აკლდესთ, და არც რე მეწერილმანეები არიან, რომ „სამინუშო ათი ფუთი პარკი“ იმ გვარ ფასათ იყიდონ, როგორც საზოგადოთ იყიდება.

აქ კი შევადგინოთ ანგარიში და დავანახოთ ბ. წ—ლს თუ რა დაკარგა ამხანაგობამ პარკის აქ გაყიდვით:

1896 წელში ამხანაგობას ჰქონდა 1017 ფუთი ხმელი პარკი. გირვანქა ნედლ პარკში ამხანაგობა აძღვედა 20—22—24—25 კაპ. ამათში „უსკიდკოთ“ ძალიან ცოტაა მიღებული. მთელი წლის განმავლობაში კი „სკიდკა“ დავთრებით 64 ფუთს 37 1/2 გირვანქას უდრის, რომელიც აუღიათ 2956 ფუთი 33 1/2 გირ. ნედლი პარკიდან.

3021 ფ. 31 გირ. ნედლ პარკში (სკიდკიანათ) გასვლია ფასი ამხანაგობას 27,789 მ. 14 კაპ. ესე იგი საშუალო რიცხვით თითოეულ ფუთ ნედლ პარკში მიუცია 9 მან. 19, 86 კაპ. თუ გადართმევს 64 ფ. 37 1/2 გირ. ისე ვიანგარიშებთ, რომ ვითომც ფრთები გამოებას და სადმე გაფრენილიყოს—გამქრალიყოს, მაშინ 2,956 ფ. 33 1/2 გირ. მოუღის საშუალო რიცხვით 9 მ. 43 კაპ. თითოეულ ფუთს. და, რომ ბ. წ—ლის ანგარიშით ვიანგარიშოთ 30630 მან. ნედლი პარკის ფასათ მაშინ საშუალო რიცხვით თითოეულ ფუთ პარკში 10 მან. 36 კაპ. მიუციათ და არა ათი; მაგრამ ნამდვილათ კი ნედლი პარკის ფასათ 27789 მან. 14 კაპ. დახარჯულა და არა 30630 მან. როგორც ბ. წ—ლი ამას ამბობს.

*) ჩვენ ვერც ვიპოვეთ გვთხოვეს დაგვუბეჭდა ბ. კაკაბაძის წერილი ნ. წერეთლის საპასუხოდ. მთელი წერილი სიდიდის გამო ვერ დაგვუბეჭდეთ და ამიტომ ვსტამბავთ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც სადაც 10 ფუთ პარკს შეეხება და რჩება ბ. წერეთელმა პოლემიკა ააშენა. ამ ნაწილს წინ უაღკება მიწერ-მოწერა მოკამათითა შორის, სადაც ჩანს რომ ბ. ნ. წერეთელს მიუძარტავს ბ. კაკაბაძისთვის და ანა კაკაბაძის წერეთლისათვის. ამ უკანასკნელს დაპირებული პარკის რაოდენობა ან გაუგზავნია, გაუგზავნია მხოლოდ ათი ფუთი სამინუშოთ.



ბრიტანის სასახლე ლონდონში.

ახლა სხვა. ამხანაგობამ „ორჯერ“ მიყიდა ნუხელ ვაჭრებს ხმელი პარკი 591 ფუთი 32 გირ. ფუთი 37 მან. 80 კ. = 22374 მ. 98 კ. მესამეჯერ 356 ფ. თითო ფუთი—37 მან. 70 კაბ. = 13,421 მან. 20 კ. სულ 947 ფუთი 32 გირ. შეადგენს 35,796 მან. 18 კაბ. ამხანაგობას სულ 1017 ფუთი ხმელი პარკი ჰქონდა, რომლიდანაც ზოგი წვრილათ გაიყიდა. ამ 947 ფუთ პარკზე უნდა შეეადგინათ ანგარიში და აქედან დავინახეთ ამხანაგობამ „რაც დაკარგა“.

ბ. წერეთელმა გვიანგარიშა თავისებური სულ ახალ-ახალი ცოდნით, რომ ასიდან 15 ფუთი თითო 15 მანეთათ გაიყიდებოდა, დანარჩენი 85 ფუთი კი 40—45 მანეთათ მარსელშიო. ტყუის ჩენი მატყუარა მეომარი, და მართალი კი ასეა: როცა ანალიზი გავაკეთეთ გადარჩეულმა 3532 გრამა პარკმა 1000 გრამი ძაფი—გრეფა მოგვცა. თუ რომ 1000 გრამი ძაფი 4000 გრამ პარკს მოეცა მაშინ ფასი არ შეიცვლებოდა და ბირჟის ფასი 7 ფრ. 30 სანტ. შეიქნებოდა საანგარიშო ფასათაც. რადგანაც პარკს ასეთი კარგი გამოსავალი დაურჩა, ამიტომ პროპორციონალურათ ფასიც გაიზარდა, რისთვისაც გადარჩეულ ერთ ფუთ პარკს მარსელში ჩატანილს მაშინდელი 7 ფრ. 30 სანტ. ფასობიდან მოუღდის 50 მ. 05 კაბ. (ორმოცდა ათი მან. და ერთი შაური). ამას უნდა ბათუმთან მარსელამდე გადასატანი ხარჯები, კამისია, კორტაჟი და სხვ. 6⁰/₁₀₀, რომელიც 3 მან. შეადგენს. ეს რომ გამოერიცხოთ, მაშინ ბათუმში გადარჩეულ პარკს მოუღდის 47 მან. 05 კაბ. წმინდა. ახლა ვიან-

გარიშით, ჩამდენეც
ნებოდა ამხანაგობას
ასეთი გადარჩეული პარ-
კი: ბ. წერეთლის სიტ-
ყით გამოღდის რომ
947 ფუთი 32 გირე.
პარკიდან 142 ფუთი
32 გირე. დაბალი ღირ-
სების გამოვიღოდა. ამას
შემდეგ ხელში გვრჩება
805 ფუთი პირველი
ღირსების პარკი, რომ
მელსაც მარსელის ან-
გარიშით ბათუმში 47
მან. 05 კაბ. მოუღდის
წმინდა. ეს გავამრავ-
ლოთ 805 ფუთზე და


მივიღებთ 37875 მან. 25 კაბ. ამას მიეუმა-
ტოთ 142 ფ. 32 გირ. რომელიც წ—ლის ანგარი-
შით (საკვარველია რომ ასეთი ნარდი წესები შემო-
ულია პარკის ანგარიშში.), 15 მანეთათ უნდა გაყი-
დულიყო, შედგება, 2141 მან. და ორივე ერთათ კი
40,016 მან. 25 კაბ. აქედან გამოერიცხოთ ფული
35,796 მან. 08 კაბ. რომელიც ამხანაგობამ აიღო პარ-
კის გაყიდვით. ბ. წ—ლს რომ დაუფჯეროთ ამხანაგობა
მაინც 4320 მან. 17 კაბ. ჰკარგავს აქ პარკის გაყიდ-
ვით, მაგრამ ანალიზის ფურცლებს ბ წ—ლი ვერ
გაექცევა, რომელიც მას გადაეცოთ და ჯობით ატა-
რებს. იმ ანალიზის ფურცლებით ჩანს, რომ გადაურ-
ჩეველი თეთრი 3767 გრამი პარკი იძლევა 1000
გრამ ძაფს და ეს, რომ მაშინდელი ფასობით 7 ფრ.
30 სანტ. ვიანგარიშით მარსელში ჩატანილ და გა-
ყიდულ თითოეულ ფუთს მოუვიღოდა 47 მანეთი.
გამოვაკლოთ აქედან ხარჯებისთვის 6⁰/₁₀₀ = 2 მან. 82
კაბ. რომლის შემდეგ დარჩება 44 მან. 18 კაბ. წმი-
ნდა ბათუმში ჩატანილ თითოეულ ფუთ გადურჩე-
ველ პარკზე. გავამრავლოთ ეს ფასი 947 ფუთ 32
გირე. და მივიღებთ 41,873 მან. 70 კაბ. ბათუმში
წმინდა ფასს; გაიყიდა ესევე გადაურჩეველი ნუხელ
ვაჭრებზე 35,796 მან. 08 კაბ. გამოვაკლოთ ეს იქი-
დან, რას შემდეგ დავრჩება 6077 მან. 62 კაბ. ამ-
დენით მეტს აღებდა ამხანაგობა, რომ მას პარკი
მარსელში გაეყიდა. აი „რა წააგო ამხანაგობამ აქ
გაყიდვით“!

ახლა ბ. წ—ლიც გრძნობს, რომ მის ქინიანო-

ბას ფრთები შეეკვეცა ის ამბობს ერთ ალაგს „რა წაფაგეთ აქ გაყიდვით“ და მეორეგან ეტყობა რალას უმძნობია და ამბობს: „ეთქვათ (კი არა მართლაც) ამხანაგობა ბევრსაც მოიგებდა მარსელში პარკის გაგზავნით, მაგრამ, რომ არ გაიგზავნა ვისი ბრალიაო?“ ეკ კი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცის ლოლიკაა, რომელიც გამოდის მისივე მოქმედებიდან. წ — ლიც, რა კი დაიბნა, ახლა ორივეს ეპოტინება: ამტკიცებს ივასაც პარკი რომ აქ გაიყიდა, არაფერი წაუგია ამხანაგობასო და იმასაც, რომ არ გაიგზავნა იქ პარკი, ეს ჩემი კი არა შენი ბრალიაო. აქ ჩვენი მოკამათის ფეხებ ქვეშ მიწა ირღვევა, იგი გადახტომას აპირებს, მაგრამ ძალიან დიდ თხრილში კი ვარდება.

მოიგონე მკითხველო ის საბუთები, რომლებითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით ტელეგრაფების გამოგზავნის დროს და თან ბ. წ — ლის გოდება, რომ ცნობა არა გვაქვს, თორემ პარკს გამოგვგზავნიდით; და ამას შემდეგ ის საუცხოვო პასუხი, რომელიც ამბობს, რომ „ჩვენ პარკს აქ ვყიდით“. ახლა წარმოიდგინეთ მისი კრიმინალები და უჩინ-მაჩინობა თუ რას ნიშნავს „ვისი ბრალია მერე, რომ პარკი არ გაიგზავნაო“. ამას შემდეგ თქვენ თითონ აღიარეთ მკითხველო სიმართლე ამ საქმის შესახებ; ჩვენ კი აქ მოექრით ფეხებს მის წერილთან უშინაარსო აზრებს და ვეცდებით რომ თავი არავის მოვაბეზროთ იმათი გარჩევით.

ი. კაკაბაძე.



ვინც რა უნდა თქვას.

(ს უ წ ა თ ი)



ვისის ერთი შევნიერ ლამეთაგანი იყო. გავსებული მთვარე ლალათ დაცურავდა მოკრიალებულ ცის სივრცეში და გულუხვით ჰგზავნიდა

თავის სხივებს ქვეყანაზე. ყოველივე მიწყნარებულ-მიძინებული იყო; მხოლოდ მთვარის შუქზე ვერცხლის ფრათ მოლაპლავე მდინარის უხუილი და საამური გრილი სიო, რომელიც ერთგულათ ავრცელებდა ჰაერში ყვავილების გულიდან აღმომღმეფინვარე სურნელებას, არღვედა ამ მომჯადოვებელ საიდუმლო სიჩუმეს. ხალხიც მიძინებული იყო. მხოლოდ ერთ სახლში არ ეძინა ნორჩ-აკოკრებულ ქალ-

წულს. იგი თუმცა იწვა და სხეულით თავის ოთახში იყო, მაგრამ ვინ იცის, ვისკენ მიჰქროდა მისი გული და გონება! და განა შეეძლო დაწყნარებულიყო მისი პირველი სიყვარულის მაძიებელი არსება?! დიახ, არ შეეძლო. იგი იწვა, საბანი მკერდამდე ეხურა და თოვლივით თეთრი მკერდი და ლამაზი ყელ-კისერი გულის მომხიბლველათ ჰქონდა გადაგდებული ბალიშის ყუხზე. მის ოთახში სრული სიჩუმე იდგა; მხოლოდ თანჯრიდან შემაცქერალი მკრთალი სინათლე მთვარისა და მისგან ოდნავ განათებული ოთახის კედლები ტკბებოდენ შევნიერი სანახავით. მკირე ხნის სიჩუმეს შემდეგ ქალმა ერთი ისეთი ამოხენენვა, გეგონებოდა გულიც თან ამოაყოლოა, და თან „ოჰო, ჰო, ჰო, ჰო“ დაატანა. ერთბაშათ ტირილი მოერია. გული ამოუჯდა და ნამტირალევი ბავშვივით დაიწყო სლოკინი. „სიყვარული“, — წაილულლულა მან და ტირილი სიცილით შეეცვალა! კარგა ხანს იყო ასეთ მდგომარეობაში. ბოლოს გამოფხიზლდა, თავი მალა აილო და თან შეშინდა: ეს რა მემართება, ჰკუიდან არ შევიცვალავო. ამ დროს, თითქო მდულარე გადაასხესო, ისე შეხურდა. საჩქაროთ წამოდგა, გაალო თანჯარა და მიუშვირა გულ-მკერდი ბალიდან მოსისინე გრილ ნიავს. შუალამე შეიქნა. ქალი თავდავიწყებული იდგა თანჯარასთან და გადაცქეროდა ბაღში სიოხაგან მოშრიალე ვარდის ბუჩქს, რომელიც გაშლილი ვარდებით იყო შემკული და წარმოადგენდა ვეებერთელა თაიგულს.

— ბედნიერი ხარ, ბუჩქო, ბედნიერი! შენ ვერ გრძნობ, რა არის სიყვარული... მე კი, მე... დამწვარი ვარ, დამწვარი... და ქალს თვალებიდან ცრემლები გადმოცვივდა.

— როგორ! განა მე სიყვარული არ ვიცი რა არის? და ვერც ვგრძნობ?! ჩემისთანა სატრფო ვისა ჰყავს! — ამაყათ უპასუხა ბუჩქმა.

— შენცა გყავს? ვინ?

— ჰმ! მყავს!.. ჩემ სატრფოს ბევრი ალტაცებით შეცქერიან; მაგრამ იმას მართო მე ამოვურჩევივარ... გესმის! თუ გინდა, მოიცადე მანდ და შეხედავ მას, აწი მალე მოვა.

ამ დროს პატარა ჩიტმა დაიფრთხილა და ბუჩქზე შესკუპდა.

— ჰო!.. ეგ კი ვიცი ვინ არის, — თქვა ქალმა და ალტაცებით ყური დაუგდო ბულობულის „ტიატიას“.

ბულობულმა გაათავა და გაფრინდა. „უსულო ბუჩქსაც კი ჰყოლია სატრფო და მე კი არა მყავს“, გულ ამოსკენით თქვა ქალმა, აილო მაგრადზე მდებარე ჩანგი, მივიდა კვლავ თანჯარასთან, ჩამოჰკრა თითები ლ დაამღერა:

ვზივარ, ვზივარ... თვე და წელიწადი...
სიყვარული, სიყვარული მწადიან!
ჩემი მოთქმა, გულ-ამოსკენით გოდება
მალლა ცაში შემოქმედთან აღიან.

სატრფოს ვეძებ, მუდამ ის მაგონდება;
მისკენ მივალ, იგი უფრო მშორდება!
ოჰ მითხარი, შემოქმედო, მითხარი,
ჩემი სატრფო როს დამიხსლოვდება?!

გადის, გადის კვირა, თვე და წელიწადი,
არ დასრულდენ ეს დღეები მწველია!
სატრფოს ვხედავ, არ ვებრალები უწყალოს,
შორს მიიწევს ჩემი გულის მკვლელია!..

ქალმა გაათავა ჩანგი კვლავ მაგიდაზე დადვა
და თითონ უგრძობლათ ჩაგორდა ლოგინში.— „ჰო!
თქვა მან ცოტა ხანს შემდეგ, როცა იგი თითქო
ღრმა ძილიდან გამოერკვა:— მე შემძლია გაგებდ-
ნიერო!.. განა ჩემზეა დამოკიდებული მისი ბედ-უბე-
დობა?! რატომ არა: თუ ჩემით შეიძლება კაცი გაუ-
ბედურდეს ან გაბედნიერდეს, უთუოთ უკანასკნელს
აერჩევი— გავედნიერებდი... ამას კარგა ხანია ვფი-
ქრობ და ჯერ კი ვერ გადამიწყვეტია, რა გზით,
როგორ... დედას რომ გავუმხილო, თავს მოიკლავს:
ვინ შენ და ვინ ისო! დღე და ღამე ვინ გაასწორაო,
იტყვის, და იმას კი არ კითხულობს, რომ მე იგი
მიყვარს!.. დიად მიყვარს... ოჰ ღმერთო! მიყვარს,
თუ კი შეიძლება ამ სიტყვით გამოიხატოს სიყვარუ-
ლის გრძობა.— ამ სიტყვებთან ქალმა იგრძნო, რომ
მართლა უყვარდა მთელი თავისი უმანკო არსებით.

— დედა ჩემი!.. იმას აღარ ახსოვს თავის ყმა-
წვილ-ქალობა... მე კი მიჭერს, მატყვევებს! მე დღეს
ტყვე ვარ, წარმოიდგინე, ტყვე; და როგორი: უდა-
ნაშაულოთ დატყვევებული!.. რაც მსურს, ვერ ამი-
სრულებია, რადგანაც ტყვე ვარ ჩვეულებისა, სოფელ-
ქვეყნისა, დედ-მამისა!.. მაგრამ... ჩვეულებას რას დავ-
დევ, ან სოფელ-ქვეყნის ხმას! ვინც რა უნდა თქვას
და მე კი ჩვეულებას უნდა გადავბიჯო, უმგანო
ტყვეობიდან თავი უნდა დავიხსნა... უთუოთ, უთუ-
ოთ! ამას ვერც დედა დამიშლის, ვერც ჩვეულება ღ
ვერც ის გარემოება, რომ ვითომც მე დღე ვიყო
და „ის“ კი ღამე; მე მალალი და „ის“ კი
დაბალი! არა!.. წმინდა სიყვარულმა ვგ არ იცის!
იგი მიტომბა შუადღეზე სანთლით საძებარი, რომ
ასწორებს დიდს და პატარას, მაღალს და და-
ბალს; მისთვის ეს სიტყვები არ არსებობენ. წმინ-
და სიყვარული! იგი ციური მნათობია დედამაწაზე

ღეთის განგებით ჩამოვარდნილი, რომ კაცის გრძობა
და ამაღლოს, გაასპეტაკოს. მაგრამ... კმარა! მე საღ-
მოცემბო ისეთი სიტყვები, რომლებითაც შეიძლე-
ბოდეს ოდნავ მაინც დაესახო წმინდა სიყვარულის
ღრისებანი!.. მე მხოლოდ ვიცი, რომ მიყვარს, ძლი-
ერათ ვგრძნობ ამას და ამის სიტყვებით დახატვა ჩემ-
თვის საჭირო არაა!

* * *

სწორეთ იმ დროს, როდესაც ელენემ თანჯარა
გააღო და გრილი სიოს ბერეთ ტკბებოდა, ბაღში
შემოვიდა ახალგაზდა კაცი, ამოეფარა ბუჩქს და გა-
მალვებით ყურს უგდებდა უმანკო ქალის სიმღერას.
ქალს არა შეუნიშნავს რა. ახლა კი ყმაწვილი
კაცი ჩუმათ ავიდა კიბეზე და ქალის ოთახის კარებს
მიურაკუნა. ქალი შეკრთა, მაგრამ იფიქრა, შეიძლე-
ბა ვინმე ჩემი შინაურიაო, ადგა და კარები გააღო.

— ოჰ, ჩემო ანგელოზო! ჩაილაპარაკა კაცმა
აკანკალებული ხმით და ქალის წინ დაეარდა. — გაიხ-
სენე... ნუ გამაუბედურებ!

— ნიკო!.. შენ!.. ჩუმათ, ჩუმათ... შეიტყობენ,
ჩუმათ! ახლავე...

პატარა ხანს იქით ყმაწვილი ქალი და კაცი
ფეხ-აკრფით ჩაივდნენ კიბეზე, მათ შვენიერათ ისა-
რგებლეს საერთო სიჩუმით.

„მშვიდობით! უთხრა ქალმა თავის საყვარელ
ბალს, — მშვიდობით დედამავე! — მშვიდობით, მე აწ
სხვას ვეკუთვნი! ვინც რა უნდა ის თქვას!..

ღ -- 9.

„კვალის“ რედაქციას

მისის სამს „კვალში“ დასტაბებულია შემდეგი შე-
ნიშვნა რედაქციისა:

„ჩვენ მივიღეთ ერთი ახალი წიგნაკი „სალა-
რო ცოდნისა“, რუსულ-ქართული ენციკლოპედიუ-
რი ლექსიკონი ი. როსტომაშვილისა. შეიცავს პირ-
ველ ანბანს — A — ბ. ჩვენ გულ-წრფელათ ვურჩევთ
ავტორს ამ ლექსიკონის ბეჭდვა შეაჩეროს, მისი
საფუძველი შეცვალოს, თანამშრომლები მოიწვიოს
და ესე განაგრძოს გამოცემა, თვარა ახლა ეს არც
რუსისთვის ვარგა და არც ქართველისთვის. ან უნდა
იყოს მთლათ რუსულათ დაწერილი ან და მთლათ
ქართულათ და მხოლოთ სიტყვის განსამარტებლათ
უცხო სიტყვაც ჩართული. რაც შეეხება შინაარსს,
თავისთავთ ცხადია, რომ შეცდომები ძალიან ბევ-
რი უნდა იყოს, მაგ. Амерა ნიშნავს (სიტყვა „ნიშ-
ნავს“ ჩვენ ლექსიკონში არ არის, უნდა იყოს
„არის“) „თვალისთვის უხილავი ცხოველი, შესდგე-

ბა მხოლოდ პროტოპლაზმისაგან*. განა ეს არის მისი დამახასიათებელი თვისებები? მაშასადამე ყველაფერი რაც თვალთ არ დაინახება და პროტოპლაზმისაგან კი შედგება — ამება ყოფილა და სხე.“

აი ამ შენიშვნაზე, რომელიც ჩვენ აქ სიტყვა-სიტყვით მოვიყვანეთ, გვსურს რამდენიმე სიტყვა მოვხსენოთ ქართველ მკითხველს.

1) „ფურჩვეთ თანამშრომლები მოიწვიოსო:“ დარიგებისათვის მადლობელი ვართ, მხოლოდ რედაქციას ჩვენი წინასიტყვაობა რომ წაეკითხა, გაიგებდა, რომ თანამშრომლები ნაშოვნე გვყავს და კიდევ ბევრს სხვას ვიშოვით. 1)

2) „მისი საფუძველი შეცვალოსო:“ რედაქციას, როგორც ჩანს, სრულიად გათვალისწინებული არა აქვს ქართული ლექსიკონის შედგენის საქმე, თორემ არ იტყოდა მისი საფუძველი შეცვალეთო“. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ჯერ-ჯერობით, მხოლოდ ისეთი ლექსიკონის შედგენა შეიძლება, როგორც არის ჩვენი ლექსიკონი (ე. ი. რუსულ-ქართული) და ამას შემდეგ კი, ღვთის წყალობა გაქვთ, რომ ქართული ენც. ლექსიკონის შედგენასა და გამოცემას წინ აღარაფერი ედგომება, რადგანაც მით საენციკლოპედიო მასალა მთლათ თავ-მოყრილი გვექნება, მანამ კი ვიმეორებთ, ეს ყოველად შეუძლებელ საქმეთ მიგვაჩნია და თუ შესაძლებელია, ვინ გიშლისთ, გამოეცით, ჩვენ პირველი მოვაწერთ ხელსა! ჩვენი რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემის ერთ-ერთი აზრი ის არის, რომ საენციკლოპედიო მასალას თავი მოეყაროთ (ამის შესრულება კი ჩვენს მდგომარეობაში მხოლოდ უკვე არსებულის რუსულ ლექსიკონებით შეიძლება) და საფუძველი დაეუდვით ახლო მომავალში ყოველად სრული ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის შედგენა-შემუშავებას. ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეთ, თორემ ამასაც მალე მოვესწრებით. 2)

1) ჩვენ ეს იმიტომ გუჩნით რომ ამ თანამშრომელთა მუშაობა ლექსიკონში ვერ დავიჩასეთ. ეს უფრო ერთი კაცის შრომაა, ვინც მჭკვლავს. რედ.

2) ჩვენ სწორედ წინააღმდეგი აზრის ვართ: რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი — ეს ვერ არის სამის შეკრების ნაყოფი. ვაძვირებ უნდა იყოს ეს ენციკლოპედია? ქართველისთვის? ახა მითხარით, რუსულის უცოდინარი ქართველი წახიარათ გამოიყენებს ამას! სოფო ინტელიგენცია რუსულ ლექსიკონებსაც მიმართავს. განა არ შეიძლება პირველი სახსნელი სიტყვა ქართულთ ყოფილიყო? განა არა გვაქვს ქართულ-რუსული ლექსიკონი? მარა, არა, ავტორმა ქართველთა უმრავლესობისთვის გაუგებარი ენციკლოპედია არის. და შეკრე კიდევ რა და წახიარი სიტყვები არ არის შიგ ჩა-

3) „რაც შეეხება შინაარსს, თავისთავათი ცხადია დიაო, რომ შეცდომები ძალიან ბევრი უნდა იყოსო!“ — საიდან სადო, წმინდაო საბაო! საიდან დასკვნა რედაქციამ ეს სიტყვები, ყოველად აუხსნელი რჩება მკითხველისათვის. ამიტომ ვიტყვით, რომ სრულიად უსაფუძველოდ ბრძანებს ამას რედაქცია. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ ლექსიკონში შეცდომები არ იყვეს, მაგრამ ეს შეცდომები ისეთივე იქნება, როგორსაც არც თქვენი და არც სხვა გამოცემებია სამწუხაროთ მოკლებული; ნიმუშათ ავიღოთ თუნდა წინადადება, რომელიც თქვენსავე შენიშვნაშია: „შეიცავს პირველ ანბანს А—Я“ რა არის ეს, მე ვერ გამიგია, და დარწმუნებული ვარ, რომ ვერც სხვა ვინმე გაიგებს 3). რაც შეეხება რედაქციის აზრს, რომ Амеба კარგათ ვერ ამისხნია, ნახეთ გრანატას და ბროკპაუზის ახალი ლექსიკონები, თუ იმათშიაც ისე არ იყოს განმარტებული ეს სიტყვა, როგორც ჩემ ლექსიკონშია განმარტებული. თქვენ რომ ბრძანებთ: — „მაშასადამე ყველაფერი რაც თვალთ არ დაინახება და პროტოპლაზმისაგან კი შედგება — ამება ყოფილაო“ — სადაური დასკვნაა: ჩვენ ვლამპარაკობთ ცხოველზე და თქვენ კი „ყველაფერზე“. ახა ერთი სხვა რომელიმე ცხოველი დაგვისახლებთ, რომ მხოლოდ პროტოპლაზმისაგან შედგებოდეს და ჩვენც თავს მოვიხრით. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ გარდა „ამებისა“ სხვა ასეთ ცხოველს ვერ დაგვისახლებთ. 4) ივანე როსტომშვიდი.

რთული! აი მაგ. ერთ გერმანულ: аквилонъ, аквинари, аквитанция, акерсекомесь, акведуктъ და სხვა ასეთი იშვიათი სხმარებული სიტყვებით სავსეა ლექსიკონი. მაგეგრამ არ არის არაფე (შვეიცარიის კანტონი), ალბიონი და სხვ. ერთი სიტყვით ავტორს ისეთი სიტყვები ამოუგრძობია საიდანღაც, რომ ათასში ერთს თუ შეკვდება მისი სმარება, თვარს სხვას არავის. რედ.

3) ძალიან ვწუხვართ, რომ ვერ გავიგეთ, თუმათ ვკვლავ დანაწიანი მკითხველისთვის ნათელი და აშკარაა. მამ უმჯობესია აღარა თქვანი სიტყვები გვსმით როცა ამბობთ: „შეკრე წიგნად გამოვა B B“. მასდას! რედ.

4) საშინლათ ცდებით. გადმომაღეთ სწორედ თქვენ მიერ ნახელები ბროკპაუზი და ნახეთ მკედებს: ამება შეადგენს მხოლოდ ერთ ჯგუფს „იმ თვალთ უხილავ ცხოველთა“, რომლებსაც პროტოპლაზმა ეწოდება. შეკრე ჯგუფს შეადგენს ინფუზორი. თქვანი ახსნით კი გამოდის, ვითომ ინფუზორი და ამება ერთი და იგივე იყოს, რადგანაც ორივე თვალთ უხილავი ცხოველია. ჩვენ ისევე გიჩვენებთ, უფრო მტკადნე პირები მოიწვიოთ და ლექსიკონი ქართულ ანბანზე დააწყოთ. რედ.

„კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქცია ვადა-
დის 10 ივნისიდან საკუთარ სახლში: არტილ-
რისის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით
სწორეთ იმის პირდაპირ, სადაც ახლა რედაქცია იმ-
ყოფება.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართული წიგნის მა-
ლაზიებში მ. ა. ბარძალაძის მიერ გამოცემული
ახალი წიგნი

საბავშვო გამოცანები

(ზმა კიდურები ჩვენს მოღვაწეებს)

თ. ნ. ტ. დადიანისა

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ღირს 15 კაპ. ვინც
ას წიგნს ერთათ იყიდის გამომცემლისაგან ქ. ქუთა-
ისში დაეთმობა მანეთზე ერთი აბაზი.

(10—9)

გამოვიდა საბავშვო წიგნი

„პატარა ლექსი“

ჯეჯილის რედაქციის გამოცემა

თარ. ელ. წყნეთელისა

ფასი 30 კაპ.

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის
მაღაზიაში და თვით ჯეჯილის რედაქციაში.

ბ. ი. კა— ძეს პასუხათ.

По определению цензурнаго комитета 7
мая 1898 года состоявшемуся, настоя-
щее опровержение подлежит обязатель-
ному напечатанию на основании 139
Уст. Цензуры.

ზაზეთ „კვალის“ № 13-ში დასტამებულია ბ.
კ—ძას წერილი სათაურით: „ოზურგეთის წარ-
მომადგენელთა კრება და ჩემი კანდიდატურა“. ამ
ფრიად შესანიშნავ წერილში ბ. კ—ძე ჰკოდებს მასზე,
რომ ის, აღებ-მიცემობის და აბრეშუმის საქმის მკოდნე,
არ იქმნა არჩეული გამგეთ ამხანაგობისა. დიანაც დიდი სა-
წყენია, როცა ვისმე საზოგადო კენჭის ყრით აშაეებენ,
მაგრამ ბ. კ—ძეს არავითარი საფუძველი არა ჰქონდა
რომ აგრე ძალზე სწყენოდა გაშაეება, მით
უმეტეს რომ მან თურმე წინათვე აცოდა მისი კან-

დიდატურა ვერ გაეიდოდა, მხოლოთ რამდენიმე ამხანაგობის
ხანაგების თხოვნაზე უარი ვერ თქვა და ხელის
გამოცადა.

აი რას ეუბნება ბ. კ—ძე თავის მეგობრებს,
როცა ისინი კანდიდატობას თხოვენ; „თქვენ კან-
დიდატს იქ არავინ იცნობს თქვენს მეტი, თქვენ კი
ხომ მთელ კრებას არ შეადგენთ... მეორე კანდიდა-
ტის იმ საზოგადოებაში გაუცნობელობა ხელს გიშ-
ლით, და მესამე ის, რომ ვილაცას „მოამბეში“ მა-
ზე კაი-კაები დაუწერია-მეთქი“.

ნამდვილი გონივრული მოსაზრებაა. ეს თუ ბ.
კ—ძეს აგრე კარგათ ესმოდა, არავითარ შემთხვევაში
კანდიდატობაზე თანხმობა არ უნდა განეცხადებია,
მაგრამ რაკი შეცდა და დათანხმდა, თავისი შეცდო-
მა თითონვე ჩუმათ უნდა ჩაეყლაპა. ბ. კ—ძე აგრე
როდი მოიქცა. მან თავის გამაშაეებელ წარმომადე-
ნელების ლანძღვა-გინებას მიჰყო ხელი. განსაკუთრე-
ბით მიზანში ამოგვილო მე და სპ. მენაბდე. „თურ-
მე, ბრძანებს ბ. კ—ძე, გურიის „მუამავლის“ წარ-
მომადგენელთა კრებაზე ბრძანდებოდენ იმისთანაგინც,
რომლებიც გინებას უფრო იმანსოვრებენ და იგონე-
ბენ, ვინემ ჰეშმარიტებას. საქმე იმაშია, რომ მე, რო-
გორც „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის“ სარე-
ვიზიო კომისიის წევრმა, რამდენიმე შენიშვნა დაეწე-
რე ამ ამხანაგობის საზოგადო მსვლელობაზე, რომე-
ლიც წარსული წლის „კვალის“ ნომერში დაიბეჭდა.
ასეთმა შენიშვნამ გამოიწვია ხსენებული ამხანაგობის
მმართველის ბ. ნ. წ—ლის საკმაოთ დაკრიმანტულე-
ბული პასუხი... აქ საკმარისია მკითხველმა გაიგოს,
რომ ჩემსა ზე წ—ლის შორის მწერლობაში კამათი ყო-
ფილა და არის, და თუ მკითხველი ამ საკითხის გა-
მორკვევით დაინტერესებულთა, მან უთუოთ ორივეს
გულდასმით უნდა მიუხსინოს (როდის მოგისმინო,
როცა პასუხი არც კი გავიცია ჯერ) და შემდეგ
წარმოთქვას თავისი განაჩენი; უამისოთ კი თუთი-
ყუშის როლს ითამაშებს, როგორათაც ასეთი როლი
მოხდენილათ შეასრულა ოზურგეთის წარმომადგენ-
ლების კრებაზე ბ. სპ. მენაბდემ და მისმა დამქაშმა
გ. მ—ძემ. მათ ეტყობათ, რომ ვისმეზე წამოსროლილი
ცილის წამება სინამდვილეთ მიაჩინათ, ან და ლან-
ძღვა-გინების შესათვისებლათ უფრო მოწყობილია
მათი თავის აპარატი ვინემ ჰეშმარიტების გამოსაკე-
ლევათ“. ცეცხლი ვთქვი და პირი არ დამწვაო, რომ
იტყვიან, სწორეთ ეს არის. ბ. კ—ძე, რასაც უმარ-
თლოთ ჩვენ გეწამებს და გვიკვირებს, იმას სწორეთ
მოხდენილათ თითონ ასრულებს. საიდან მოეზმანა
კ—ძეს, რომ ვითომ ის ჩვენ, ან და ვინემ წარმომ-
დგენელთაგანმა, კრებაზე აძაგა? თითონ კ—ძე კრება-
ზე არ ბძანებულთა, არც რომელიმე გზეთში ყოფი-

ლა დასტამბული, რომ ის ვისმეს კრებაზე ეძაგებინოს. თუ აგრე ყოფილიყო, ბ. კ—ძე ვალდებული იყო ის სიტყვები პირდაპირ ამოეწერა და მით დაესაბუთებინა თავის წერილი. მის წერილში კი მხოლოდ ერთთ-ერთი „ნე დაიბოხ“ არის საბუთათ მოყვანილი, რომელიც ვითომ სპირ. მენაბდემ წარმოთქვა ბ. კ—ძის ლანძღვა-საგინებლათ, მაგრამ ჯერ ერთი „ნე დაიბოხ“ ვინება არ გახლავს და მეორე ეს საბუთიც ახ-ლა ბ. კ—ძის ხელიდან გამოეცალა, რადგან ეს ტყუილი იყო და მისმა შემთხვევლმა გაასწორა „ცნობის ფურცელში“ თავისი შეცდომა. ამას შემდეგ ბ. კ—ძის უნდა დავეკითხო: ვინ ითამაშა თუთიყუშის როლი? მე, რომელმაც კრებაზე მხოლოდ ორიოდ სიტყვა ვთქვი მის შესახებ, — რომელიც მას არც კი წაუკითხია, რადგან არ ყოფილა დასტამბული და არც მოუსმენია, ვინაიდან კრებაზე არ დასწრებია, — თუ მან, — რომელიც მე სრულიად ვერ მიცნობს, არც ვინაობა იცნო ჩემი; ერთი სიტყვაც არა აქვს ჩემგან წარმოთქმული საბუთათ წამოსაყენებლათ; მაგრამ მი-უხებდავთ ამისა თურმე ისიც კი მიხვდა, რომ „ლან-ძღვა-გინების შესათვისებლათ უფრო მოწყობილია მათი (ჩემზე ლაპარაკობს) თავის აპატი, ვინემ ჭეშ-მარიტების გამოსარკვევათ“. ვაშა ის მეცნიერებას! მოდი და თაყვანს ნუ სცემ ამ ნაირ მეცნიერს! მარ-თალია, იყვენ იმისთანა მეცნიერნი, რომელთათვისაც მარტო ერთთ-ერთი კბილი ცხოველისა საკმარისი იყო, რომ მის გამორკვევით შეედგინათ სრული და უტყუარი წარმოდგენა იმ ცხოველზე, მაგრამ ბ. კ—ძისთანა მეცნიერნი, რომელიც მარტო ჩემი გვა-რის და სახელის ცოდნით იკვლევს ჩემი თავის აპა-რატის მოწყობილებას, ჯერ არავის ჰყოლია; საიდან მოგელანდათ ბ. კ—ძე, რომ მე თქვენ კრებაზე გლანძღვთ? ამხანაგებმა გითხრეს და დაიჯერე? მართლა თუ თუთიყუშის როლს არ ასრულებთ და ვიღაცა-საგან ყურში წაჩურჩულდებულს არ უჯერებთ, მაშ რა საბუთი გაქვთ, როცა ჩემ შესახებ შემდეგს ამ-ბობთ: „ცხადია, რომ ამ ვაჭბატონებს ამოდრავებთ რაღაც დაბალი გრძნობა“.

საბუთი, საბუთი და კვლავ საბუთი ამ სიტყვე-ბისა. იქნებ არც კი გესმით ამ სიტყვების შანაარსი, აგრე მსუბუქათ რომ ექცევით? ამნაირ სიტყვების წამოსროლისთვის ჩვენში საბუთს თხოულობენ და ხშირათ პასუხსაც სასამართლოში, მაგრამ უკანასკნე-ლის მომხრე არ გახლავარ (!) მხოლოდ პირველს კი გთხოვთ: ორში ერთი, ან საბუთი, ან ბოდიში.

იქნებ ბ. კ—ძემ არ დაჯეროს და თქვას, რომ მე კრებაზე ვლანძღე ის, ამიტომ მისდა დასა-მშვიდებლათ მოვიყვან ჩემ სიტყვებს ისე, როგორც კრებაზე იყო ჩემგან ნათქვამი. როცა ბ. კ—ძის მე-გობრებმა რადენიმე მკერ-მეტყველური სიტყვა წა-რმოთქვეს მის კანდიდატურის სასარგებლოთ, მაშინ ჩემდა საუბედუროთ მე შემდეგი ვთქვი: ბ. კ—ძის მე ვერ ვიცნობ და შეიძლება მართლაც ისეთი ყოჩა-

ლი იყოს, როგორც დაგვინატეს, მაგრამ, ჩემის აზ-რით, ის ჩვენი ამხანაგობისათვის ვერ იქნება გამო-სადეგი, რადგან მას ჩვენში ხალხი ვერ იცნობს, მა-შასადამე ნდობაც ვერ ექნებათ მისი და ვერ შესძ-ლებს წვერების მიზიდვას, ხოლო ამხანაგობის გაძ-ლირებისთვის საჭიროა რაც შეიძლება მეტი წვერე-ბის შეძენა. რაც შეეხება იმას რომ ვითომ ბ. კ—ძის შეეძლოს აბრეშუმის პარკს კარგი ბაზარი მოუპო-ვოს სამხლევარ გარეთ, მაგასაც მე იქვის თვლით ვუყურებ და ამისი საბუთი გახლავს ბ. ნ. წერეთლის წერილი, რომელიც მარშან „მომამბეში“ იყო დას-ტამბული და რომელზედაც მას ჯერ არავითარი პა-სუხი არ გაუცია. წერეთლის წერილიდან ჩანს, რომ ბ. კ—ძის მისი მოთხოვნით „პირველ მეაბრეშუმე-თა ამხანაგობამ გაუგზავნა ათი ფუთი პარკი სამინუ-შოთ — ანალიზი უნდა მოეხდინათ და ღირებვისა დაგვა-რათ ფასები უნდა გამოეკრკვიათ, მაგრამ ბ. კ—ძემ ესენი ვერც ერთი ვერ მოახერხა და ის ათი ფუთი პარკი გაუყიდველი დაუტოვა მარსელში თავის ნაც-ნობ ფრანგს“. აქ ლანძღვა და ჭორი არ უბრევია, არც გადაჭარბებულია რამე, პირიქით ბ. წ—ლის წერილის შანაარსი ძლიერ მოკლეთ და სუსტათ არის მოყვანილი. თუ ბ. კ—ძის წ—ლის წერილი უსა-ფუძვლოთ მიჩნდა — იმ შემთხვევაში ის ვალდებული იყო პასუხი გაეცა. რაკი ბ. კ—ძის ეს არ უნებებია, ჩვენ არც საბუთი და არც უფლება გვაქვს წ—ლს არ დაუჯეროთ, მით უმეტეს რომ ბ. წ—ლს ძლიერ ბევრი საბუთები აქვს მოყვანილი თვით ბ. კ—ძის წერილებიდან და ტელეგრამებიდან, რომლის სინამ-დეღლეში ჩვენ ჯერ-ჯერობით იქვს ვერ შევიტანთ, სანამ თვით კ—ძე არ დაგვიმტკიცებს იმათ სიყალბეს.

გ. მარგალიტაძე.

15 აპრილი

ქ. აზ-ურგეთი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

დკტორს ზემოთ დაბეჭდილ წერილისას ბ. გ. მარგა-ლი ვაძეს კითხვ გვიან გამოუდვიძია. ბ. ი. კ—ძის წე-რილი დაბეჭდა: 22 მარტს, ხოლო მარგალიტაძე პასუხს 20 აპრილს გვიგზავნის. ჩვენ შევადარეთ „ცნობ. ფურც.“ დაბეჭდილი ანგარიში „შუამავლის“ წარმომადგენლთა კრების და დავინახეთ რომ მენახდეს და მარგალიტაძეს ცუდათ უხსენებიათ კ—ძე და მარგალიტაძის თვის მა-რთლება (თუმატა ბოლოს აღარც კი მართლუფა) უსა-ფუძვლოა.

რედ.

რედ. დკტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.